სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება
N 01-022022

ქ. თბილისი

20 თებერვალი 2015 წ.

ერთის მხრივ შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“ (შემდგომში „შემსყიდველი“) წარმოდგენილი მისი დირექტორის ვლადიმერ ლაზარიშვილის სახით და მეორეს მხრივ, შპს „საპოვნელა+“ (შემდგომში ,,მიმწოდებელი”) წარმოდგენილი მისი დირექტორის პავლე გეწაძის სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10-ე მუხლის, მე-3-ე პუნქტის ,,ბ“ პუნქტის საფუძველზე, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომ - „ხელშეკრულება“) - შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2 „ხელშეკრულების ღირებულება“ ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.3 „შემსყიდველი ორგანიზაცია“ (შემდგომ „შემსყიდველი“) ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.4 „მიმწოდებელი“ ნიშნავს პირს, რომელიც მიაწოდებს საქონელს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;

1.5 „დღე“, „კვირა“, „თვე“ ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1 წინამდებარე ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს შემსყიდველისათვის ლამის და ბალასტის შესყიდვა (შესყიდვის დანაყოფი - 14200000- ქვიშა და თიხა ; CPV 14212000- გრაგნულები, ნაფხვენები, წმინდა ქვიშა, კენჭები, ხრეში, ღორღი, ქვა-ხრეშის ნარევი, ქვიშა-ხრეშის ნარევი და ქვის სხვა (ინერტული) მასალა, 14212310- ბალასტი) დანართ N1 ში მოცემული რაოდენობების შესაბამისად.

3 ხელშეკრულების ღირებულება

3.1 საქონლის შესყიდვის ფასი განისაზღვრება ლარებში.

3.2 ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს **2240 (ორი ათას ორას ორმოცი)** ლარს, დღგ–ს გათვალისწინებით.

3.3 ერთეულის ფასები მოცემულია წინამდებარე ხელშეკრულების დანართ N1-ში.

3.4 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს;

4 ანგარიშსწორების წესი

4.1 ”მიმწოდებელთან” ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში.

4.2 დაფინანსების წყარო: შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ საკუთარი სახსრები.

4.3 ანგარიშსწორება განხორციელდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის სრული მიწოდების შემდეგ, მიღება–ჩაბარების აქტისა, სასაქონლო ზედნადებისა და ანგარიშფაქტურის წარდგენიდან 10 (ათი) კალენდარული დღის ვადაში.
4.4 წინასწარი ანგარიშსწორება არ გამოიყენება.

5 ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

5.1 შემსყიდველი უფლებამოსილია განახორციელოს მიწოდებული საქონლის კონტროლი, ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ტექნიკურ პირობებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით.
5.2 მიმწოდებელი უფლებამოსილია დაესწროს ინსპექტირების პროცესს.
5.3 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს შემსყიდველის კონტროლის (ინსპექტირების) ჩატარებისათვის აუცილებელი ტექნიკური საშუალებით.
5.4 ინსპექტირებას „შემსყიდველის“ მხრიდან განახორციელებს შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ თერჯოლის სერვის-ცენტრის უფლებამოსილი წარმომადგენელი.

6 საქონლის მიწოდების პირობები

6.1 საქონლის მიწოდება უნდა განხორციელდეს არაუგვიანეს 6 (ექვსი) სამუშაო დღისა ხელშეკრულების გაფორმების დღიდან.
6.2 საქონლის მიწოდება უნდა განხორციელდეს შემსყიდველის ფაქტიურ მისამართზე: ქ. თერჯოლა, რუსთაველის გამზ. N117
6.3 მიმწოდებელი ვალდებულია გადასცეს შემსყიდველს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო საქონელი.
6.4 მიმწოდებელმა საქონლის მიწოდებისას უნდა წარმოადგინოს სასაქონლო ზედნადები და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა.

7. 7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1. "შემსყიდველი" უფლებამოსილია:
ა) ნებისმიერ დროს განახორციელოს "მიმწოდებლის" მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;
7.2. "შემსყიდველი" ვალდებულია:
ა) უზრუნველყოს "მიმწოდებლის" საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით;
7.3. "მიმწოდებელი" უფლებამოსილია:
ა) მოსთხოვოს "შემსყიდველს" მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.
7.4. "მიმწოდებელი" ვალდებულია:
ა) მიაწოდოს საქონელი ხელშეკრულებით გათვალისწინებული სათანადო ხარისხითა და სრული მოცულობით.
ბ) უზრუნველყოს მისი ბრალეულობით ,,შემსყიდველისთვის'' მიყენებული მატერიალური და არა მატერიალური ზარალის ანაზღაურება.

8. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

შესყიდვის ობიექტის მიღება–ჩაბარება განხორციელდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმებით, რომელშიც აღნიშნული უნდა იყოს საქონლის ჩამონათვალი, ღირებულება, ჯამური თანხა, მომსახურების ხარისხობრივი შესაბამისობა ხელშეკრულების პირობებთან, ხელშეკრულების რეკვიზიტები, მიღება-ჩაბარების გაფორმების თარიღი და ადგილი. (შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერას განახორციელებს შპს ,,საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ თერჯოლის სერვის-ცენტრის უფლებამოსილი წარმომადგენელი.

9. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

9.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან შესრულების ვადის გადაცილებისათვის მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა, - ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.5%-ის ოდენობით.

9.2. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის, არასრულად ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში,"მიმწოდებელი" ჯარიმდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 3 (სამი) პროცენტის ოდენობით.

9.3. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 5 (ხუთი) პროცენტს, "შემსყიდველი" იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს "მიმწოდებელს" ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

9.4. საჯარიმო სანქციის გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

10.2 „მიმწოდებლის" მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში „შემსყიდველი" უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

10.3 „შემსყიდველი" ვალდებულია 10.2 პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს.

10.4ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე

11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2015 წლის 31 მარტის ჩათვლით.

12 ფორს-მაჟორი

12.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

12.2 ამ მუხლის მიზნებისათვის `ფორს-მაჟორი~ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

12.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, 3 დღის განმავლობაში უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ.

12.4 მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება ფორს-მაჟორული მდგომარეობის მოქმედების დასრულებისთანავე.

13. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

13.1 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

14 დამატებითი პირობები

14.1 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

14.2 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

14.3 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

15. მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი:	მიმწოდებელი:
შპს "საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია"	შპს ,,საპოვნელა+"
მის: ქ.თბილისი, ვაჟა-ფშაველას ქ.N76ბ	იურ/მის: ზესტაფონი, აღმაშენებლის ქ. N85
სს „ლიბერთი ბანკი"	სს ,,რესპუბლიკა ბანკი"
ცენტრალური ფილიალი	კოდი: REPLGE22
კოდი: 220101480, LBRTGE22	ა/ა GE14BR 0000 0103 4746 6340
ა/ა N GE77LB0113123325230012	ს/კ 230085305
ს/კ 412670097	

ვლადიმერ ლაზარიშვილი
დირექტორი

პავლე გეწაძე
დირექტორი

#	საქონლის დასახელება	განზომილების ერთეული	რაოდენობა	ერთეულის ღირებულება (ლარი) (ტრანსპორტირებით)	ჯამური თანხა (ლარი)
1	ლამი	კუბ.მ	60	14	840
2	ბალასტი	კუბ.მ	100	14	1400
ჯამი:					2240 (ორი ათას ორას ორმოცი) ლარი დღგ-ს ჩათვლით

შემსყიდველი:

შპს "საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია"

ვლადიმერ ლაზარიშვილი
დირექტორი

მიმწოდებელი:

შპს „საპოვნელა+"

პავლე გეწაძე
დირექტორი